

ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალება მოიცავს სპეციალურად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სისტემისადმი წაყენებულ ფუნქციურ თუ ტექნიკურ მოთხოვნებს, რაც წარმოდგენილია ტექნიკურ დავალებაში.

გარემოს დაცვის, სოციალური საკითხებისა და ნებართვების დეპარტამენტის მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახურს აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში ევალება პროგრამაში შეყვანილი მონაცემთა ბაზების მართვა, ასევე შეყვანილი მონაცემების შესაბამისობის შემოწმება და მონიტორინგი. აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს პროექტებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის რეპორტების წარმოებას. რეპორტინგის მოდელი უნდა იძლეოდეს პროექტების შესახებ ყოველთვიური სრული რეპორტის მიღების საშუალებას, ასევე რეპორტების მიღების საშუალებას ნებისმიერ დროს, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით სხვადასხვა სამსახურების ქრილში.

მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახური ადგენს შესაბამისობას მონაცემთა მაზაში არსებულ დოკუმენტებსა და სამსახურების მიერ შევსებულ/შეყვანილ მონაცემებს შორის. იგი ასევე უფლებამოსილია სისტემაში პროექტებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მოახდინოს მყისიერი რეაგირება და არსებულის თაობაზე ოპერატიულად აცნობოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და დეპარტამენტის უფროსს.

ზემოაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახურისათვის საჭიროა სისტემაზე შესაბამისი წვდომის მინიჭება.

შემუშავებული სისტემა უზრუნველყოფილი უნდა იქნას საინტეგრაციო შრიტ (API) რათა მომავალში შესაძლებელი იყოს სსე-ს სხვა სისტემებიდან მონაცემების ინტეგრაცია. პროექტის ფარგლებში, საინტეგრაციო შრე უნდა იმეორებდეს სისტემის მომხმარებლის ინტერფეისის ფუნქციონალს. შემუშავებული სისტემისთვის აუცილებელ სამუშაო გარემოსთვის საჭირო დამატებით პროგრამულ კომპონენტებს

სისტემის ზოგადი აღწერა

სისტემა გააერთიანებს ქვემოთ ჩამოთვლილი სამსახურების მიერ როგორც დონორების მიერ დაფინანსებული, ასევე ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ წარმოებულ ინფორმაციას:

- სოციალური საკითხების მართვის სამსახური;
- გარემოს დაცვის სამსახური;
- ნებართვების სამსახური;
- სატყეო სამსახური;
- მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახური.

აღნიშნული სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განსაზღვრონ შესაბამისი პირი/პირები, ვისაც განესაზღვრება სისტემაში მუშაობის უფლება პროექტთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის შეყვანა/ატვირთვის შესახებ. აღნიშნულ პირს/პირებს დაეკისრება სისტემაში შეყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა. ასევე სისტემაში რეგისტრირებული თითოეული პროექტის ფარგლებში უნდა განსაზღვრონ შესასრულებელი ამოცანები, ასევე მონაცემების/დოკუმენტაციის შეყვანის/ატვირთვის პროცესის დასრულება დაადასტურონ პროგრამულად.

ამოცანის განსაზღვრისას შესაძლებელი იქნება განისაზღვროს:

- ამოცანის შინაარსი;
- დაკავშირებული ამოცანა;
- ამოცანის სტატუსი;
- განხორციელების თარიღი;
- პასუხისმგებელი პირი/პირები;
- თანდართული ელექტრონული დოკუმენტები (აღნიშნული დოკუმენტების ატვირთვის ვალდებულება დაეკისრება პირს/პირებს, რომელსაც კონკრეტული სამსახურის უფროსი განსაზღვრავს სათანადოდ უფლებამოსილად).

დაკავშირებულ ამოცანასთან იქნება კავშირის შემდეგი ტიპის განსაზღვრის შესაძლებლობა:

- პარალელური
- დამოკიდებული

ამოცანის განსაზღვრის ან მასში ცვლილების შეტანის შემთხვევაში პასუხისმგებელ პირს/პირებს, ამოცანის განმსაზღვრელს ან/და ცვლილების შემტანს, გაეგზავნება შეტყობინება ელექტრონული ფოსტით, რომელშიც მოცემული იქნება ამოცანის ყველა მონაცემი. ამოცანის განხორციელების თარიღის დადგომამდე ერთი დღით ადრე პასუხისმგებელ პირს ავტომატურად გაეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS), რომელიც მოიცავს ამოცანის იდენტიფიკატორს და შინაარსის ნაწილს (მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს დეპარტამენტში შემავალი ყველა სამსახურის სპეციფიკა და მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული ვადები).

შესაბამის უფლებამოსილ პირებს (მაგალითად, გარემოს დაცვის, სოციალური საკითხებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილეები და ა.შ.) ექნებათ შესაძლებლობა სისტემის გამოყენებით მოიპოვონ დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პროექტებში დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობების შესახებ.

შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის სისტემიდან შესაძლებელი იქნება სისტემაში შეყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით ანგარიშების მომზადება და მათი ექსპორტი Microsoft Excel ან PDF ფორმატის ელექტრონული დოკუმენტის ფორმატში.

სისტემაში ახალი პროექტის რეგისტრაცია

პროექტის რეგისტრაციისას საჭირო იქნება პროექტის შესახებ შემდეგი მონაცემების განსაზღვრა:

- დეპარტამენტის უფროსის დავალების (შესაბამისი დოკუმენტის) საფუძველზე პროექტის რეგისტრაცია/ინიცირება
- პროექტის დასახელება - პროექტის პირველადი რეგისტრაცია პროგრამაში (აღნიშნულს ახორციელებს დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი/თანამშრომლები); მონაცემთა ბაზებისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ პროექტის რეკვიზიტებისა და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მეყვანა პროგრამაში პროექტის შესახებ პირველადი მონაცემების შესაქმნელად
- აღნიშნული სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განსაზღვრონ შესაბამისი პირი/პირები, ვისაც განესაზღვრება სისტემაში მუშაობის უფლება პროექტთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის მეყვანა/ატვირთვის შესახებ. აღნიშნულ პირს/პირებს დაეკისრება სისტემაში მეყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა
- პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - ერთი ან რამდენიმე ელექტრონული დოკუმენტის მიმაგრების/ატვირთვის შესაძლებლობა, დოკუმენტთან დაკავშირებული კომენტარის განსაზღვრის შესაძლებლობით
- ღირებულება (დიფერენცირებული უნდა იყოს სხვადასხვა სამსახურების მიხედვით)
- ვალუტა
- დაწყების თარიღი (დიფერენცირებული უნდა იყოს სხვადასხვა სამსახურების ფარგლებში)
- საინვესტიციო ხელშეკრულების თარიღი
- პროექტის დასრულების თარიღი
- დონორი ორგანიზაცია - ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის მითითების შესაძლებლობით
- ქვეკონტრაქტორი კომპანია
- ქვეკონტრაქტორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და დაკავშირებული დოკუმენტაცია - ერთი ან რამდენიმე ელექტრონული დოკუმენტის მიმაგრების/ატვირთვის შესაძლებლობა, დოკუმენტთან დაკავშირებული კომენტარის განსაზღვრის შესაძლებლობით
- კონსულტანტი კომპანია - ერთი ან რამდენიმე კომპანიის მითითების შესაძლებლობით
- მშენებელი კომპანია - ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის მითითების შესაძლებლობა
- დამატებითი ინფორმაცია

პროექტის მთავარი გვერდი

სისტემის მთავარი გვერდზე მოცემული იქნება პროექტების ჩამონათვალი სიის სახით და ასევე კალენდარი, რომელზეც აღნიშნული იქნება თითოეული პროექტის მიმდინარეობის გრაფიკი ერთმანეთისგან განსხვავებული შეფერილობით.

სისტემის მთავარ გვერდზე მოცემული იქნება პროექტებში მომხმარებლების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია - შეცვლილი მონაცემის, თარიღის და მომხმარებლის სახელის ინდიკაციის ჩათვლით. ამავე ჩამონათვალში უნდა აისახოს ვადაგადაცილებული ამოცანების შესახებ ალერტები, რომელიც წითელი ფერით იქნება შეფერილი.

სისტემაში რეგისტრირებული პროექტის არჩევისას შესაძლებელი იქნება მივიღოთ გრაფიკული და ტექსტური მონაცემები განსახლების სამოქმედო გეგმის მდგომარეობის შესახებ აღნიშნული პროექტისთვის, როგორც საწყის/დაგეგმარების ასევე განხორციელების ეტაპებზე, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- განსაზღვრული და რეალიზებული საინვესტიციო მოცულობა
- კომპენსაცია გადახდილი ადამიანების რაოდენობა ჯამში
- იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯამური რაოდენობა
- ნაკვეთების სტატუსების შესახებ ინფორმაცია - ინიცირებული ნაკვეთების და კვლევის ეტაპზე მყოფი ნაკვეთების რაოდენობა

პროექტს უნდა გააჩნდეს ე.წ. fishbone დიაგრამა, სადაც აღნიშნული პროექტის ეტაპები მათ მიმდინარეობის სტატუსის შესაბამისად შეფერილი იქნება მწვანე (დასრულებული) ან წითელი (ვადაგადაცილებული) ფერებით.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ იდენტიფიცირებული მიწის ნაკვეთების რუკა

შესაძლებელი იქნება ქვეკონტრაქტორი კომპანიის (ქვეკონტრაქტორი კომპანიის მიერ სათანადოდ განსაზღვრული პირის) მიერ სისტემაში აიტვირთოს KML/KMZ ფორმატის დოკუმენტი და შესაბამისად სისტემამ მოახდინოს აღნიშნული დოკუმენტის შიგთავსის რუკის სახით ვიზუალიზაცია.

ქვეკონტრაქტორის წვდომა სისტემაში და მონაცემების მართვა

ქვეკონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელს(ებს) ექნებათ სისტემაში წვდომის შესაძლებლობა პროექტის რეგისტრაციის დასრულებისთანავე, წინასწარ განსაზღვრული ვადით, კონკრეტულ პროექტზე განსახლების გეგმის შესაბამისი მონაცემების შესაყვანად.

სისტემაში ქვეკონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელს ექნება წვდომა პროექტის რეგისტრაციისას განსაზღვრულ მონაცემებზე და მიმაგრებულ დოკუმენტებზე, რომელიც ატვირთვისას ან შემდგომ მონიშნული იქნება როგორც კონტრაქტორისთვის წვდომადი დოკუმენტები.

ქვეკონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელისთვის შესაძლებელი იქნება სისტემაში განსაზღვრულ პროექტზე დაამატოს/დააკორექტიროს მიწის ნაკვეთი და შესაბამისად შეიყვანოს თითოეული ნაკვეთისთვის შემდეგი მონაცემები:

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის შესახებ დეტალური მონაცემების განსაზღვრა

- გეოდეზიური მონაცემები
 - o საკადასტრო კოდი
 - o უნიკალური იდენტიფიკატორი
 - o მთლიანი ფართობი (კვ. მ.)
 - o ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ფართობი (კვ. მ.)
 - o საკუთრების სტატუსი - სახელმწიფო / კერძო
- შესასყიდი მიწის ფართობი (კვ. მ.)
- სერვიტუტი (კვ. მ.)
- მიწის სრული კომპენსაციის ფართობი (კვ. მ.)

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)ს შესახებ დეტალური მონაცემების განსაზღვრა (რამოდენიმეს დამატების შესაძლებლობა)

- პირადი ნომერი
- სოციალური ანკეტის ნომერი
- სახელი
- გვარი
- მამის სახელი
- ასაკი
- ოჯახის წევრების რაოდენობა
- ტელეფონის ნომერი
- მისამართი
- ქალაქი
- სოფელი/რაიონი
- საჭიროა საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა - კი / არა
- ზემოქმედების ქვეშ მოყოლილის მიწის ფართობის წილი (%) მთლიანი ფართობიდან
- შენიშვნა/კომენტარი

ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე იდენტიფიცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეული კულტურები (რამოდენიმეს დამატების შესაძლებლობა)

- მცენარეული კულტურა - მრავალწლიანი / ერთწლიანი

- მრავალწლიანი - რაოდენობა, ასაკი, სახეობა
- ერთწლიანი - სახეობა, ფართობის ოდენობა
- მცენარეული კულტურის დასახელება
- აღნიშნული მცენარეული კულტურის რაოდენობა ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ მიწის ნაკვეთზე
- გასარწყავება - სამელიორაციო / არა-სამელიორაციო
- მცენარეული კულტურები ეკუთვნის მეიჯარეს - კი / არა
- მეიჯარის არჩევა
- მშენებლობის გამო მცენარეულ კულტურებზე ზემოქმედება - კი / არა
- შენიშვნა

ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი შენობა-ნაგებობების მონაცემები (რამოდენიმეს დამატების შესაძლებლობა)

- შენობა-ნაგებობის ტიპი - საცხოვრებელი / არა-საცხოვრებელი
 - o სიგრძე/სიმაღლე/სიგანე
 - o იატაკის ფართობი
 - o სტრუქტურის ტიპი (მასალა)
- შემოღობვის შესახებ მონაცემები
 - o ღობის ტიპი
 - o სიგრძე/სიმაღლე/სიგანე
 - o სტრუქტურის ტიპი (მასალა)
- ჭიშკარი
 - o ჭიშკარის ტიპი
 - o სიგრძე/სიმაღლე/სიგანე
 - o სტრუქტურის ტიპი (მასალა)
- შენიშვნა

ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ბიზნესის მონაცემები (რამოდენიმეს დამატების შესაძლებლობა)

- o ბიზნესის ტიპი
- o დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა
- o საშუალო ყოველთვიური ხელფასი
- o წლიური შემოსავალი (წლის ჭრილში)
- o ბიზნესის შემოსავალი (წლის ჭრილში)
- o ზეგავლენა - დროებითი / მუდმივი
- o ზეგავლენის ხანგრძლივობა

- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის საჭირო ფოტო მასალის და გეოდეზიური კოორდინატების ფაილების ატვირთვა
 - o ფაილის ტიპები - KML, KMZ, JPEG, PNG, PDF
 - o სისტემას ჩაშენებული ექნება შესაბამისი ფაილების დათვალიერების ფუნქციონალი, რომელიც შესაძლებელს გახდის სისტემაშივე მოხდეს მასალის დათვალიერება მისი გადმოწერის გარეშე
 - o შესაძლებელი იქნება ფაილების გადმოწერა

ზემოქმედების ქვეშ იდენტიფიცირებული ქონების შეფასება

- მცენარეული კულტურების მთლიანი ღირებულება
 - o მრავალწლიანი კულტურების ღირებულება
 - o ერთლიანი კულტურების ღირებულება
- ბიზნესის მთლიანი ღირებულება
 - o ბიზნეს დაკარგული შემოსავალი
- შენობა ნაგებობების მთლიანი ღირებულება
 - o შენობა ნაგებობების(ების) ღირებულება
- მიწის ნაკვეთის მთლიანი ღირებულება
 - o ნაკვეთის შეძენის ღირებულება
 - o სერვიტუტის საფასური
- განსახლების მთლიანი ღირებულება
 - o ფიზიკური განსახლების ღირებულება
 - o ზემოქმედების შემცირების დახმარება
 - o სოციალური მოწყვლადობის დახმარება
- საარსებო შემწეობა - კი/ არა
- სხვა დანაკარგები/გადახდები
- სულ ღირებულება
 - o ყველა ხარჯის ჯამი
- კომპენსაციის ბენეფიციარები
 - o ბენეფიციარებზე ხარჯების ჯამი
- შენიშვნა

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთისთვის გადახდილი და გადასახდელი საკონპენსაციო ვალდებულებების განსაზღვრა

აღნიშნულ მონაცემებზე შევსების და ნახვის წვდომა ექნება მხოლოდ სეს-ის თანამშრომლებს. აღნიშნული მონაცემები მოიცავს ზემოქმედების ქვეშ იდენტიფიცირებული ქონების შეფასებისას განსაზღვრულ მონაცემებს და დამატებით

შესაძლებელს ხდის თითოეულ განსაზღვრულ შეფასებაზე მიეთითოს უკვე გაწეული ხარჯის/კომპენსაციის ოდენობა.

მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისი მონაცემები

- აღნიშნული მონაცემები შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულებისათვის
 - o ხელშეკრულების ნომერი
 - o ხელშეკრულების ტიპი
 - o ხელშეკრულების თანხა
 - o ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
 - o ხელშეკრულების ელექტრონული ასლი - ერთი ან რამდენიმე ელექტრონული დოკუმენტი

საველე ინვენტარიზაციის ფორმა

ქვეკონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელისათვის სავალდებულო იქნება სისტემაში, განსაზღვრულ პროექტზე, საველე ინვენტარიზაციის ფორმის დახმარებით მოპოვებული მონაცემების შეყვანა, მათ შორის:

ინტერვიუერის შენიშვნები

- ზოგადი მონაცემები:
 - o თარიღი
 - o საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენელი
 - o ინტერვიუერი
 - o ქვეკონტრაქტორის წარმომადგენელი
 - o მესაკუთრის სახელი, გვარი, მამის სახელი
 - o პირადი ნომერი
 - o სოციალური ანკეტის ნომერი
 - o მესაკუთრის მისამართი
 - o ნაკვეთის ადგილმდებარეობა
 - o საკონტაქტო ტელეფონი
 - o ნაკვეთის ნომერი
 - o საერთო ფართობი

- o ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ფართობი (კვ. მ.)
- o საკუთრების სტატუსი - სახელმწიფო / კერძო
- o მესაკუთრე - რეგისტრირებული / მართლზომიერი ლეგალიზებადი / არამართლზომიერი ლეგალიზებადი / თვითნებურად დაკავებული არალეგალიზებადი
- o მოსარგებლის სტატუსი - მესაკუთრე / ოფიციალური მეიჯარე / არაოფიციალური მეიჯარე/ ახალმოსახლე
- o ნაკვეთის ტიპი - სასოფლო სამეურნეო / არასასოფლო სამეურნეო/
- o მიწათსარგებლობის ტიპი - სასოფლო სამეურნეო / საცხოვრებელი / კომერციული / სხვა არასასოფლო სამეურნეო
- o თუ მიწათსარგებლობის ტიპს აღნიშნული მნიშვნელობა მიენიჭება, სავალდებულო გახდება მიწათსარგებლობის ტიპთან დაკავშირებული დამატებითი კომენტარისგანსაზღვრა
- o სასოფლო სამეურნეო მიწის გამოყენება - სახნავი / ბაღი / საძოვარი / სხვა
- o გასარწყავება - საწყავი / სადრენაჟო / არა სამელიორაციო
- o რელიეფი - ვაკე / დაქანებული / ციცაბო / შერეული
- მრავალწლიანი ნარგავები დაზიანებულ მიწის ნაკვეთზე (რამოდენიმეს დამატების შესაძლებლობა)
 - o ნარგავის დასახელება
 - o ასაკი (ციფრით)
 - o რაოდენობა
 - o რაოდენობა სიტყვიერად
- ერთლიანი ნათესები დაზიანებულ მიწის ნაკვეთზე
 - o ნათესის დასახელება
 - o ნათესის ფართობი კვ. მ.
- შენობა ნაგებობების დახასიათება (რამოდენიმეს დამატების შესაძლებლობა)
 - o ძირთადი
 - შენობა ნაგებობის დანიშნულება
 - აშენების თარიღი
 - სეისმომდგრადობა
 - სართულიანობა
 - საერთო ფართი
 - მანსარდის ფართი
 - სარდაფის ფართობი
 - o კონსტრუქციული ნაწილი
 - საძირკველი
 - კედლები
 - ტიხრები

- სხვენი
- სახურავი
- o მოპირკეთება
 - გარე მოპირკეთება
 - შიდა მოპირკეთება
 - იატაკი
 - ქერი
 - ფანჯრები
 - კარები
- o კომუნიკაციები
 - კანალიზაცია
 - წყალმომარაგება
 - ელექტრომომარაგება
 - გათბობა
 - ბუნებრივი აირი
- o შემოდგომის და ჭიშკრის დახასიათება რამოდენიმე დამატების შესაძლებლობა)
 - ღობე
 - სიგრძე
 - სიმაღლე
 - სისქე
 - ცოკოლისპარამეტრები
 - გამოყენებული მასალა
- o ჭიშკარი
 - სიგრძე
 - სიმაღლე
 - გამოყენებული მასალა
- ბიზნესი დაზიანებულ მიწის ნაკვეთზე
 - o დასახელება
 - o ბიზნესის ტიპი
 - o წლიური შემოსავალი
 - o თანამშრომელთა რაოდენობა
 - o ბიუჯეტში გადახდილი თანხა

შემოსული საჩივრების კანცელარია

თითოეულ პროექტზე საჩივრების რეგისტრაციის და ზედამხედველობის მოწესრიგებისთვის სისტემას, სადაც ასევე თავს მოიყრის მოსახლეობის საჩივრებზე

რეაგირების კომისიის მიერ განხილული საჩივრები, ექნება შემოსული საჩივრების კანცელარიის მოდული შემდეგი ფუნქციონალით:

- შემოსული საჩივრების აღრიცხვა
- საჩივრის მიღების თარიღი
- მომჩივანი
- თანდართული საჩივრის ელექტრონული ასლი PDF ფორმატის დოკუმენტი
- საპასუხო კორესპოდენციის აღრიცხვა
 - საპასუხო ოფიციალური წერილის ელექტრონული ასლი PDF ფორმატის დოკუმენტი
 - საპასუხო წერილის გაგზავნის თარიღი

საჩივრების მონიტორინგისთვის შესაძლებელი იქნება ჯამური ინფორმაციის გამოტანა:

- შემოსული საჩივრების ჯამური ოდენობა
- პასუხგაცემული საჩივრები
- პასუხგაუცემელი საჩივრები
- კომისიის მიერ განხილული საჩივრების პასუხები

საჩივრების ერთ-ერთი ჯამური კატეგორიის არჩევისას, სისტემა გამოიტანს აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრილი საჩივრების სიას, იმავე მონაცემებით რაც რეგისტრაციისას იქნა მითითებული და შესაძლებელი იქნება აღნიშნული მონაცემების რელაქტირება. სტატუსის შესაბამისად შემოსული საჩივრების ჩამონათვალში/სიაში ჩანაწერები პასუხგაცემული, პასუხგაუცემელი და კომისიის მიერ განხილული საჩივრების პასუხები განსხვავებულად გამოჩნდება.

გარემოს დაცვის სამსახური

გარემოს დაცვის სამსახურის თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა სისტემაში შეიყვანონ მონაცემები სკრინინგის, სკოპინგის, გზმ-ს ეტაპების შესახებ. ამასთანავე შეეძლება აღრიცხონ სამშენებლო პროექტის მიმდინარეობის ეტაპზე და ექსპლუატაციის პერიოდში გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულება. ყველა ეტაპთან დაკავშირებული ჩანაწერების გაკეთებისას შესაძლებელი იქნება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული დოკუმენტების მიმაგრება.

სკრინინგთან დაკავშირებული მონაცემები მოიცავს:

- შეკვეთის თარიღი და კონსულტანტი კომპანია
- მომზადების თარიღი
- წარდგენის თარიღი
- ექვემდებარება გზმ-ს - კი / არა

- შენიშვნა /კომენტარი

სკოპინგთან დაკავშირებული მონაცემები მოიცავს:

- შეკვეთის თარიღი და კონსულტანტი კომპანია
- მომზადების თარიღი
- წარდგენის თარიღი
- სკოპინგის დასკვნის გაცემის თარიღი - დადებითი / უარყოფითი
- შენიშვნა /კომენტარი

გზშ-სთან დაკავშირებული მონაცემები მოიცავს:

- შეკვეთის თარიღი და კონსულტანტი კომპანია
- მომზადების თარიღი
- წარდგენის თარიღი
- დახარვეზება - კი / არა
- საჯარო განხილვების ჩატარების თარიღი
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - დადებითი / უარყოფითი
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თარიღი
- შენიშვნა/კომენტარი

სამშენებლო პროექტის მიმდინარეობის ეტაპზე გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისას შესაყვანი მონაცემები მოიცავს:

- საქართველოს კანონმდებლობით და გზშ პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებები

o ვალდებულებათა ჩამონათვალი

- ვალდებულების აღწერა
- შესრულების პერიოდი
- პასუხისმგებელი კონსულტანტი/კონტრაქტორი
 - არსებულის მოძიება და არჩევა ან ახალი დასახელების დამატება

- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკითა და დონორთა მიერ მოთხოვნილი ვალდებულებები

o ვალდებულებათა ჩამონათვალი

- ვალდებულების აღწერა
- შესრულების პერიოდი
- პასუხისმგებელი კონსულტანტი/კონტრაქტორი
 - არსებულის მოძიება და არჩევა ან ახალი დასახელების დამატება

გარემოსდაცვითი ვალდებულებები, რომელთა შესრულება გათვალისწინებულია ექსპლუატაციის პერიოდში მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- საქართველოს კანონმდებლობით და გზშ პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებები

o ვალდებულებათა ჩამონათვალი

- ვალდებულების აღწერა
 - შესრულების პერიოდი
 - პასუხისმგებელი კონსულტანტი/კონტრაქტორი
 - არსებულის მოძიება და არჩევა ან ახალი დასახელების დამატება
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკითა და დონორთა მიერ მოთხოვნილი ვალდებულებები

o ვალდებულებათა ჩამონათვალი

- ვალდებულების აღწერა
- შესრულების პერიოდი
- პასუხისმგებელი კონსულტანტი/კონტრაქტორი
 - არსებულის მოძიება და არჩევა ან ახალი დასახელების დამატება

გარემოს დაცვის სამსახურის მიერ შესაძლებელი იქნება პროექტზე დამატებითი ინფორმაციის კომენტარის სახით განსაზღვრა და ასევე ერთი ან რამოდენიმე ელექტრონული დოკუმენტის მიმაგრება.

გარემოს დაცვის სამსახურს შეეძლება პროექტთან დაკავშირებული ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ შემდეგი მონაცემების განსაზღვრა:

- გეგმის მომზადება სსე-ს მიერ
 - o თარიღი
- გეგმის მომზადება კონტრაქტორის მიერ
 - o თარიღი
- გეგმის წარდგენა სამინისტროში
 - o თარიღი
- შეთანხმებულია
 - o თარიღი
- არ არის შეთანხმებული
 - o თარიღი

ნარჩენების გეგმის ანგარიშგება (არაუგვიანეს 28 თებერვლისა)

- შეთანხმებულია
 - o თარიღი
- არ არის შეთანხმებული
 - o ტექსტური მონაცემი
- ნარჩენების გატანა
- კონტრაქტორი
- ერთჯერადი/მრავალჯერადი
- თარიღი

ნებართვების სამსახური

ნებართვების სამსახურის თანამშრომლებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა სისტემაში შეიყვანონ მონაცემები ნებართვის სამი ეტაპის და ექსპლუატაციაში მიღების ეტაპის შესახებ.

ნებართვის პირველი ეტაპის დროს სისტემაში შედის შემდეგი მონაცემები:

- ნებართვა
 - o აღების თარიღი
 - o ნებართვის ვადა
- საპროექტო სამსახურის მიერ მოწოდებული მასალა
 - o განმარტებითი ბარათი
 - o სიტუაციური ნახაზები
 - o ტოპოგრაფიული ნახაზები
 - o SHP ფაილები და "X" "Y" კოორდინატები
 - o თანხმობები უწყებებიდან გადაკვეთასთან დაკავშირებით
 - შედგენის თარიღი
 - o *სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს ერთ ან რამოდენიმე უწყების თანხმობაზე ცხრილის სახით მონაცემების შეყვანა*
 - o უწყების დასახელება
 - o გასული
 - ✓ თითოეული უჯრის მონიშვნა შესაძლებელი უნდა იყოს სამი ფერიდან ერთ-ერთით (წითელი, ყვითელი, მწვანე)
 - ✓ ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემების შემცველი სვეტების გარდა შესაძლებელი უნდა იყოს სვეტის დამატება და მოხმარებლის მიერ სახელის განსაზღვრა/ცვლილება
 - PDF ფორმატის ელექტრონული დოკუმენტი
 - o შემოსული
 - PDF ფორმატის ელექტრონული დოკუმენტი
 - o დანართი
 - o არქეულოგიური კვლევის ანგარიში
 - ჩაბარების თარიღი
 - o პასუხი სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოდან“
 - მიღების თარიღი
 - o მიწის ნაკვეთის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა და საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი
 - გადაღების თარიღი
 - o განაცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ
 - შედგენის თარიღი
- დამატებითი ინფორმაცია
 - o კომენტარი/შენიშვნა

ნებართვის მეორე და მესამე ეტაპის დროს სისტემაში შედის შემდეგი მონაცემები:

- ნებართვა
 - o აღების თარიღი
 - o ნებართვის ვადა
- არქიტექტურული პროექტი, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემა (მშენებლობის პროექტი)
 - o მიღების თარიღი
- საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში
 - o მიღების თარიღი
- გეოლოგიური, კონსტრუქციული, ფუძე საძირკვლების და ტექნოლოგიური ნაწილის ექსპერტიზის დასკვნები
 - o მიღების თარიღი
- შესაბამის ორგანოში სანებართვო მოსაკრებლის ოდენობის შესახებ გაგზავნილი დოკუმენტაცია
 - o გაგზავნის თარიღი
- შესაბამისი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოსაკრებლის თანხის ოდენობის დოკუმენტი
 - o მიღების თარიღი
- სანებართვო თანხის გადახდის მოთხოვნის წერილი
 - o გაგზავნის თარიღი
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი საგადასახადო დავალება
 - o გადახდის თარიღი
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი
 - o მიღების თარიღი

ექსპლუატაციაში მიღების ეტაპის დროს სისტემაში შედის შემდეგი მონაცემები:

- ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია
 - o მიღების თარიღი
- მშენებლობის დასრულების ეტაპების ოქმები
 - o მიღების თარიღი
- გამოცდის აქტები
 - o მიღების თარიღი
- საექსპერტო დასკვნა (მშენებლობა დასრულებული ობიექტის საბოლოო საექსპერტო შეფასება)
 - o მიღების თარიღი
- დამატებითი ინფორმაცია
 - o შენიშვნა

სატყეო სამსახური

სატყეო სამსახურის თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა სისტემაში შეიყვანონ მონაცემები ხე-ტყის ჭრის ნებართვის მოპოვების და ჭრის მიმდინარეობის ეტაპების შესახებ.

ხე-ტყის ჭრის ნებართვის მოპოვების ეტაპის დროს სისტემაში შევა შემდეგი მონაცემები:

- დავალების მიღების თარიღი
- იდენტიფიკაცია/თარიღი
- სსე-ს მიერ ხე-ტყის აღრიცხვა
 - აღრიცხვის თარიღი
- კონტრაქტორის მიერ ხე-ტყის აღრიცხვა
 - ხელშეკრულების ნომერი/თარიღი
 - დოკუმენტაციის გადაცემის თარიღი
 - ობიექტზე დაშვების თარიღი
 - განსაზღვრული ვადა
 - ხელშეკრულების შესრულების თარიღი
- სანებართვო დოკუმენტაციის გადაგზავნა შესაბამის უწყებაში. შესაძლებელი იქნება ერთ, ან რამოდენიმე უწყების თანხმობაზე მონაცემების შეყვანა
 - უწყებათა დასახელება
 - გაგზავნის თარიღი
- ნებართვის მიღება
 - მიღების თარიღი
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების და გადაცემის თარიღი
 - ხე-ტყის ჭრა სსე-ს მიერ
 - ჭრის დაწყების და დამთავრების თარიღი
 - ხე-ტყის ჭრა კონტრაქტორის მიერ
 - ხელშეკრულების ნომერი/თარიღი
 - დოკუმენტაციის გადაცემის თარიღი
 - ობიექტზე დაშვების თარიღი
 - განსაზღვრული ვადა
 - ვადის გახანგრძლივება
 - დასრულებული სამუშაოების შემოწმების თარიღი
 - მიღება/ჩაბარების აქტი/თარიღი

მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახური

მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახურს აღმიშნული პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში ევალება პროგრამაში შეყვანილი მონაცემთა ბაზების მართვა, ასევე შეყვანილი მონაცემების შესაბამისობის შემოწმება და მონიტორინგი. იგი უზრუნველყოფს პროექტებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის რეპორტების წარმოებას. რეპორტინგის მოდელი უნდა იძლეოდეს პროექტების შესახებ ყოველთვიური სრული რეპორტის მიღების საშუალებას, ასევე რეპორტების მიღების საშუალებას

ნებისმიერ დროს, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით სხვადასხვა სამსახურების ჭრილში.

მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია სისტემაში პროექტებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მოახდინოს მყისიერი რეაგირება და არსებულის თაობაზე ოპერატიულად აცნობოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და დეპარტამენტის უფროსს.

ზემოაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სამსახურისათვის საჭიროა სისტემაზე შესაბამისი წვდომის მინიჭება.

სისტემის ადმინისტრირება

მომხმარებლები, მომხმარებლის ჯგუფები და უფლებების მართვა

სისტემაში მომხმარებელთა აუთენტიფიკაცია განხორციელდეს Active Directory სერვისთან ინტეგრაციის გზით.

მომხმარებელთა მართვის მოდულში უნდა განისაზღვროს სისტემის მომხმარებელთა პროფილები. ხოლო მომხმარებელთა პოზიციები, დეპარტამენტები, და სხვა იერარქია უნდა განისაზღვროს მომხმარებელთა ჯგუფების სახით. თითოეული მომხმარებელი უნდა იყოს რომელიმე მომხმარებლის ჯგუფის წევრი.

მომხმარებლის ჯგუფებზე განისაზღვრება:

- უფლებები - რა ოპერაციების ჩატარების უფლება აქვს ამ ჯგუფში შემავალ მომხმარებლებს. მაგალითად, სისტემის რომელ მენიუს პუნქტებზე აქვთ წვდომა, ან კონკრეტულ ეკრანზე რომელი ოპერაციების ჩატარების უფლება აქვთ და ა.შ.

ნოტიფიკაციები

სისტემას უნდა ქონდეს ნოტიფიკაციების მოქნილი კონფიგურატორი, სადაც შესაძლებელი იქნება აეწყოს ლოგიკა, თუ რა ტიპის ვადების მოახლოვებასთან დაკავშირებით რა ტიპის შეტყობინებებს აგზავნის სისტემა (SMS, eMail) მომხმარებლებთან

უსაფრთხოება

სისტემა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ე.წ. აუდიტ ლოგირების საშუალებებით, მოხდება მომხმარებლის ინტერფეისიდან განხორციელებული წარმატებული მონაცემების შექმნის, ცვლილების ან წაშლის ოპერაციების და მცდელობების 100% ლოგირება;

ავტორიზაციის სამი არასწორი მცდელობის შემთხვევაში უნა ილოგებოდეს: მომხმარებლის დაბლოკვის თარიღი, მომხმარებლის სახელი, IP მისამართი;

ავტორიზებული მომხმარებლის ქმედების ლოგირება:

- ქმედების ტიპი
- ქმედების ობიექტი

- ქმედების დრო
- მომხარებლის სახელი
- IP მისამართი

შეცდომების ლოგირება:

- შეცდომის ტიპი
- შეცდომის დაშვების დრო
- ქმედების ობიექტი
- IP მისამართი

თანმდევი მომსახურება და მხარდაჭერა

პროექტის ფარგლებში შემსყიდველს უნდა მიწოდოს შემდეგი დამატებითი მომსახურება:

- სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა. რაც გულისხმობს წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებას დროის მაქსიმალურად მოკლე პერიოდში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, გონივრულ ვადას განსაზღვრავს შემსყიდველი მიმწოდებელთან შეთანხმებით.
- მომხმარებლის სახელმძღვანელოები (User’s Manual).
- დამკვეთის თანამშრომლებისთვის TOT (ტრენინგების ტრენინგი) სისტემის გამოყენების სწავლების მიზნით. ტრენინგისთვის საჭირო ადგილის და ინფრასტრუქტურის მომზადება უნდა უზრუნველყოს შემსყიდველმა.

პრეტენდენტმა სისტემის მხარდაჭერის პირობები უნდა განსაზღვროს წინამდებარე ცხრილის სახით.

ხარვეზის კატეგორია	სამუშაო საათები	
კრიტიკული *		
მაღალი **		
საშუალო ***		

* **კრიტიკული:** ხარვეზები, რომლებიც იწვევს პროგრამის დიდი ნაწილის გაჩერებას. პროგრამის ფუნქციონირება ვერ გრძელდება ჩვეულ რეჟიმში და არ არსებობს ამ პრობლემის აღმოფხვრის და პროგრამის ამუშავების ალტერნატიული გზა.

** **მაღალი:** ხარვეზები, რომლებიც იწვევს პროგრამის კრიტიკული ფუნქციონალის გამოუსადეგარობას ან ხელმიუწვდომლობას. პროგრამის ფუნქციონირება ვერ გრძელდება ჩვეულ რეჟიმში, მაგრამ არსებობს პროგრამის ამუშავების ალტერნატიული გზა (სტანდარტული ფუნქციონალობისგან განსხვავებული), რომლის საშუალებითაც პროგრამის ფუნქციონირება შესაძლებელია.

*** **საშუალო:** ხარვეზები, რომლებიც არ იწვევს ან მცირე შეფერხებას იწვევს პროგრამის მომსახურებაში. ხარვეზები პროგრამას ხელს არ უშლის ფუნქციონირებაში.

ტექნიკური მოთხოვნები

სისტემის დეველოპმენტის დროს, პრეტენდენტმა შემუშავებულს სისტემასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სისტემის ოპერირებისთვის აუცილებელი შემდეგი სახის პროდუქტები და მომსახურება:

საწარმო კლასის Kubernetes პლატფორმა და Cloud-Native აპლიკაციების გამშვები გარემოს ნაკრები.

ვირტუალური პროცესორების (vCPUs) რაოდენობა: მინიმუმ 8
ლიცენზიის ვადა: მინიმუმ 1 წელი

Kubernetes პლატფორმის სპეციფიკაცია:

- მხარდაჭერილი კომპონენტები და ტექნოლოგიები (მინიმუმ): კონტეინერებისთვის ოპტიმიზირებული Linux ოპერაციული სისტემა; კონტეინერების გამშვები გარემო; ქსელი (Network); დატვირთვის გამანაწილებელი (Ingress); მონიტორინგი და ლოგების მართვა; კონტეინერების სანახი (Container Registry); აუტენტიფიკაციის და ავტორიზაციის ხელსაწყოები; სერვისების ბადე (Service Mesh); სერვერლესი (Serverless); მუდმივი ინტეგრაციის და მუდმივი მიწოდების ხელსაწყოები (CI/CD); Git-ზე დაფუძნებული ოპერაციების მართვის სისტემა (GitOps); ვირტუალიზაცია (Virtualization); დეველოპერების თვით მომსახურების პორტალი (Self Service); აპლიკაციების ავტომატური ინსტალაცია, განახლება, სიცოცხლის ციკლის მართვა (Kubernetes Operators); კოდის კონტეინერში შეფუთვის ხელსაწყო (Source-to-image); დეველოპერებისთვის განკუთვნილი სამუშაო გარემო (IDE - Integrated Development Environment)

Cloud-Native აპლიკაციების გამშვები გარემოს სპეციფიკაცია:

- მხარდაჭერილი პროგრამირების Framework-ები (მინიმუმ) - Quarkus, Spring Boot, Java EE
- ხელსაწყოების ნაკრები (მინიმუმ): მესიჯების ბროკერი (AMQ Broker), მონაცემების ქსელი (Data Grid), გამშვები სერვისები (Launcher Service), აპლიკაციების მიგრაციის ხელსაწყოები (Migration Toolkit), საერთო აუტენტიფიკაციის მეთოდი (Single Sign-on)

საწარმო კლასის Kubernetes პლატფორმა და საინტეგრაციო ხელსაწყოების ნაკრები.

ვირტუალური პროცესორების (vCPUs) რაოდენობა: მინიმუმ 4
ლიცენზიის ვადა: მინიმუმ 1 წელი

Kubernetes პლატფორმის სპეციფიკაცია:

- მხარდაჭერილი კომპონენტები და ტექნოლოგიები (მინიმუმ): კონტეინერებისთვის ოპტიმიზირებული Linux ოპერაციული სისტემა; კონტეინერების გამშვები გარემო; ქსელი (Network); დატვირთვის გამანაწილებელი (Ingress); მონიტორინგი და ლოგების მართვა; კონტეინერების სანახი (Container Registry); აუტენტიფიკაც

იის და ავტორიზაციის ხელსაწყოები; სერვისების ბადე (Service Mesh); სერვერლესი (Serverless); მუდმივი ინტეგრაციის და მუდმივი მიწოდების ხელსაწყოები (CI/CD); Git-ზე დაფუძნებული ოპერაციების მართვის სისტემა (GitOps); ვირტუალიზაცია (Virtualization); დეველოპერების თვით მომსახურების პორტალი (Self Service); აპლიკაციების ავტომატური ინსტალაცია, განახლება, სიცოცხლის ციკლის მართვა (Kubernetes Operators); კოდის კონტეინერში შეფუთვის ხელსაწყო (Source-to-image); დეველოპერებისთვის განკუთვნილი სამუშაო გარემო (IDE

საინტეგრაციო ხელსაწყოების ნაკრების სპეციფიკაცია:

- **მხარდაჭერილი პროგრამირების Framework-ები (მინიმუმ)** - Quarkus, Spring Boot, Java EE
- **ხელსაწყოების ნაკრები (მინიმუმ):** მესიჯების ბროკერი (AMQ Broker), მონაცემების ცვლილების დეტექცია (Change data capture), სერვისების რეესტრი (Service registry) საერთო აუტენტიფიკაციის მეთოდი (Single Sign-on) API-ების მართვის პლატფორმა გამოქვეყნების, გავრცელების, კონტროლის და უსაფრთხოების მოწყობის შესაძლებლობით. საინტეგრაციო მართვის პლატფორმა დეველოპერების თვითმომსახურებისთვის კონექტორების შექმნის, მართვის, ტესტირების და ავტომატური დანერგვის შესაძლებლობით.

მომსახურება

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა მოსაწოდებელი Kubernetes და საინტეგრაციო პლატფორმის და Cloud-Native გამშვები გარემოს ინსტალაცია და გამართვა სსე-ში არსებულ VMware-ის ვირტუალიზაციის გარემოში.

მოთხოვნები სისტემის შემუშავებისთვის გამოყენებული ტექნოლოგიების მიმართ:

ტექნიკური მახასიათებელი	აღწერილობა/დეტალიზაცია
პროგრამული უზრუნველყოფა – Back-End	Java EE/SE 8+, Quarkus
პროგრამული უზრუნველყოფა – Front-End	HTML5, Angular Framework
მონაცემთა ბაზა	სსე-ის არსებულ მონაცემთა ბაზის პლატფორმა Microsoft SQL Server.
ფაილების სანახი სისტემა	სსე-ის არსებული S3 პროტოკოლის მქონე ობიექტური ტიპის მონაცემთა სანახი
თავსებადობა ვებბრაუზერებთან	Google Chrome, Safari, Firefox, Microsoft Edge

დიზაინის სტანდარტი	Responsive web design (RWD)
სისტემის პარალელურ მომხმარებელთა მაქსიმალური რაოდენობა	500 (ხუთასი) მომხმარებელი
ინტერფეისის ენა	სრულად ქართულენოვანი
Unit Tests	უნდა იფარებოდეს/მოწმდებოდეს სისტემის კოდის არანაკლებ 80%
პროგრამული კოდის წერის დროს გამოყენებული კონტროლის სისტემა	რომელიმე, მაგ.: Git, Mercurial

დამატებითი მოთხოვნები

შემოთავაზებული წინადადება უნდა ითვალისწინებდეს პრეტენდენტის მიერ სატელეფონო და ელექტრონული პორტალით მხარდაჭერას სამუშაო საათებში ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით.

პროექტის შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პრეტენდენტს უნდა ყავდეს აღნიშნული პროექტისთვის გამოყოფილი მინიმუმ შემდეგი კვალიფიკაციისა და სერტიფიკაციის ქართულენოვანი თანამშრომლები:

- პროექტების მართვის ინსტიტუტის (pmi.org) მიერ სერტიფიცირებული ქართულენოვანი სერტიფიცირებული ერთი პროექტის მენეჯერი
- შემოთავაზებული პროდუქტების/მომსახურების მწარმოებლის მიერ სერტიფიცირებული ქართულენოვანი მინიმუმ 2 ინჟინერი და 2 სპეციალისტი აპლიკაციების დეველოპმენტში. დამატასტურებელი სერტიფიკატები უნდა იყოს ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები უნდა იყოს ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მოცემული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე 3 (სამი) წლის განმავლობაში საწარმო კლასის Kubernetes პლატფორმის მინიმუმ 1 (ერთი) პროექტის განხორციელების გამოცდილება, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მინიმუმ 3 (სამი) პროექტის გამოცდილება, მათ შორის მინიმუმ 1 (ერთი) სახელმწიფო უწყებაში, ჯამურად არანაკლებ 1,000,000.00 (ერთი მილიონი ლარი და 00 თეთრი) ლარის ღირებულების. გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები ან/და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი დოკუმენტაცია ატვირთულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტს შეუძლია გამოცდილების შესახებ მიუთითოს შესაბამისი CMR ან/და SPA ან/და NAT ნომრები და არ წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ვადები

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 8 თვისა.

გამარჯვებულმა კომპანიამ სისტემების დანერგვის შემდგომ ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს სსე-ს თანამშრომლების ტრეინინგი შემოთავაზებული სისტემების ადმინისტრირებაში.

სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის ვადა - მისი ჩაბარებიდან 1 წლის განმავლობაში.